ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5702168

ნომერი: AR1864252

თარიღი : 25.11.2021

გაცემის თარიღი : 29.11.2021

გაცნობის თარიღი : 29.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზ ქოქოსაძე პ/ნ 01008017751
- ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ.#43, ბ.44.

ორგანიზაცია:
- შპს ბიდლ კოდი: 400157879

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

რადგან კვარტალი განაშენიანებულია დაბალი ინტენსივობის ინდივიდუალური ერთბინიანი სახლებით, გეძლევათ წინადადება, რომ
განვითარდეთ ამ განაშენიანების შესაბამისად. სამსახურს ნაკვეთზე ორბინიანი სახლის განთავსება შესაძლებლად არ მიაჩნია. ამისათვის გეძლევათ ნომენკლატურის ღილაკის ცვლილებით სარგებლობის უფლება.
1.მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი: განმარტეთ შენობა ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება.

2.ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> ....ფუნქციური დანიშნულება : შეასწორეთ ერთბინიანი ინდივიდუალური სახლით.

3.საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: მოიყვანეთ შენობის ფუნქციასთან შესაბამისობაში.

4.ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: .ვინაიდან ნაკვეთზე ფიქსირდება ხე-ნარგავები წარმოადგინეთ საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა ტერიტორიაზე არსებულ ხე–ნარგავებთან მიმართებაში, სადაც დაცული უნდა იყოს მათ შორის მინიმალური 3 მეტრიანი და ბუჩქებამდე 1,5 მეტრიანი მანძილი. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია, სადაც მითითებული იქნება თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას. ასევე აღნიშნული დატანილ უნდა იქნას სქემაზეც.

5.ვინაიდან უშუალოდ მიწის ნაკვეთზე გადის ხაზოვანი ნაგებობები ს.კ N 01.01.042 (მილსადენი, მესაკუთრე შპს "თერმული წყლები") და ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი. საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული მესაკუთრეების მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები ხაზოვანი ნაგებობების მიმდებარედ საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.